



საგოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 34

ს ა გ ვ ი ს ტ რ 20 1900

№ 34

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

სკლის-მაწერა მაილეზა: თფლისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერის ქუჩა, № 5. ფოსტის ადრესი: Тифлис. Редакция „Квали“.

**შინაარსი:** ოზურგეთის ქალაქის თვით-მართველობა ფ. მახარაძისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — „კვალი“-ს კორესპონდენტები — ომის ამბები. — შავი-ქვის მრეწველთა კრება ქუთაისში გ. წ—სა. — ჩემ ძველ სერთუქს, ლექსი ი. ევდოშვილისა. — ხელოვნება და მისი მიზანი ივ. გოჩართლისა. — „პსიხოპატი“ (ამბავი) სარდ. მამალაძისა. — წერილი რედაქციის მიმართ. — და განცხადებ ბი.


შაბათს, 26 მარტისდღისთვის, 10 საათზე, შეკრმონე დღეს ილია ლჰას-ძის ბახ აძის გადაცვლებისა ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში იქნება წირვა და პანაშედი, რასაც მამა, დედა, დანი და ძმანი მიცვალებულის ატეობინებენ შეგობად, ნათესავთ, ხაცხობთ და მისი ნიჭის პატივისცემულთ.

ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა  
(1896—1900)

II

თვითმართველობის შემოღებამ ოზურგეთში ერთი ორათ გაადიდა ქალაქის ხარჯები; მაგრამ ამ ხარჯების დანიშნულება ქალაქის პირობების ვაუჯობებსობა კი არ ყოფილა და არის, არამედ მხოლოდ ქალაქის გამგეობის შენახვა. თვითმართველობის შემოღება და მისი შენახვა რომ ხარჯს

მოითხოვს, ეს ყველასათვის აშკარაა, მაგრამ კიდევ უფრო აშკარაა ის, რომ ქალაქის თვითმართველობის დანიშნულება ქალაქის კეთილდღეობისათვის ზრუნვაა, და არა ის, რომ ქალაქის შემოსავლის უდიდესი ნაწილი ქალაქის გამგეობის შესანახათ იხარჯებოდეს, ქალაქის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ კი მხოლოდ რაღაც ნაფინხები. ასე იყო თუ ისე, ხარჯების გადიდებას ძალაუვნებურათ შემოსავლის გადიდებაც უნდა მოჰყოლოდა, რადგანაც საიდან დახარჯავ, თუ ჯიბეში არა გექნება-რა. ამიტომ ბ-ნ თავდგირიძის ერთათ-ერთ საზრუნავ საგანს, დღიდან თვითმართველობის დაწყებისა ოზურგეთში, შეადგენს ქალაქის შემოსავლის გადიდება; მისი ფიქრი და გონება მარტო ამაზე არის მიმართული. ამ აზრით ბ-ნი თავდგირიძე წინადადებას აძლევს ქალაქის საბჭოს შემოსავლის არსებულ წყაროებს მოგმატოს გადასახადი. რადგანაც ქალაქის საბჭომ, დღიდან ბ-ნ თავდგირიძის არჩევისა, უარპყო თავის თავი და მისი ყურმობრილი ყმა შეიქნა, ამიტომ გასაკვირველი აღარ არას. თუ საბჭო ყველაფერში



ბ-ნ თავდგირიძის დამჯერო იყო. ამნაირათ საბჭო, ბ-ნ თავდგირიძის წინადადებით, ამტკიცებს უძრავ მამულებზე გადასახადის ერთი ორათ გადიდებას, თუმც უველასათვის აშკარა იყო, რომ ოზურგეთის მამულები ამ მომატებულ გადასახადს ვეღარ აიტანდნენ, რადგანაც იმათი შემოსავალი ან სულ მცირეა, ან სრულებით არაფერი. ამის დასამტკიცებლათ ისიც კმარა, რომ როგორც ქუთაისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა დაწესებულების ოქმიდან ჩანს, 1900 წლის პირველ იანვრისათვის ოზურგეთის მამულებზე მარტო სამი წლის (1897, 1898 და 1899 წწ.) დარჩენილი გარდასახადი (недоимки) 3807 მან. და 69 კაპეკს უდრდა. მეორე მხრით, თუ რამდენათ საიმედოა ამ დარჩენილი გადასახადის აღება, ამის შესახებ თვით ბ-ნი თავდგირიძე აი რას გვეუბნება თავის მოხსენებაში გუბერნატორის მიმართ (9 სექტემბრიდან 1899 წ.). სხვათა შორის: „На болѣе аккуратное поступленіе недоимокъ нельзя разсчитывать, такъ какъ вся числящаяся въ недоимкѣ сумма представляетъ собой недоборы съ оцѣночныхъ сборовъ, которые обыкновенно очень туго поступаютъ, такъ какъ вслѣдствіе молочисленности квартирантовъ, большинство квартиръ въ городѣ не приносятъ никакихъ доходовъ“ (ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვამთ).

ფიქრობდა ამას, თუ არა ბ-ნი თავდგირიძე, როცა იგი უძრავ მამულებზე გადასახადს ერთი ორათ და ერთი სამათ უმატებდა (1896 წელს ეს გადასახადი 1300 მანეთი, ხოლო 1900 წლის ხარჯთაღრიცხვით 3478 მან. და 94 კ.), ეს ჩვენ არ ვიცით. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ როგორც ქალაქის საბჭოს ოქმებიდან ჩანს, ბ-ნ თავდგირიძის მოქმედება ამ მხრით მარტო ამაზე არ შეჩერებულა. მაგრამ სამწუხაროთ საფანელი ჩქარა შემოაკლდა, რადგანაც ორიოდ-სამიოდ წვრილმან რამეების გარდა, რაც შემოსავალს დიდს ვერაფერს შემატებდა, როგორც, მაგ., ქალაქის მამულების იჯარით გაცემა, ცხენებზე და ხარ-კამეჩზე გადასახადის დაწესება, სხვა არაფერი იყო. მაშინ ბ-ნი თავდგირიძე მიეცა ღრმა ფიქრებს, რომლების ნაყოფი იყო სხვათა შორის შემდეგი აღმოჩენა. 25 ვერსის მანძილზე ოზურგეთიდან შავი ზღვის პირას გაშენებულია პატარა ნავთსადგური შეკვეთილი (портъ св. Николая), საიდანაც გაჰქონდათ და დღესაც გააქვთ საზღვარ-გარეთ ადგილობრივი ნაწარმოებნი: სიმინდი, კაკლის ხე და სხ. აი სწორეთ ამ შეკვეთილის შესახებ, 16 დეკემბერს 1896 წელს, ბ-ნი თავდგირიძე ოზურგეთის ქალაქის საბჭოს უდგენს ვითომ „დასაბუთებულ მოხსენებას“, რომელშიაც ამტკიცებს, რომ შეკვეთილი ისტო-

რიულათ ოზურგეთს ეკუთვნისო. ამ დღეებში დალით ბ-ნი თავდგირიძე წინადადებას აძლევს საბჭოს, რომ მან იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა შეკვეთილში დაწესდეს ოზურგეთის სასარგებლოთ ასაწონი გადასახადი (вѣсовая ставка). ასეთ წინადადებაზე ოზურგეთლებმა თვალეზი დაშტომეს; ეს რა კარგი რამ გამოუგონია ჩვენ ნიკოსო: შეკვეთილიდან რამდენიმე ასი-ათასი ფუთი რამ გააქვთ საზღვარ-გარეთ და თუ მთავრობა ნებას მოგვცემს, რომ ასაწონი გადასახადი ჩვენი ქალაქის სასარგებლოთ იქნას დაწესებული, ჩვენს ბედს ძალი ალარ დაყუფსო. ვინდა შევიდა იმის განსჯაში, შესაძლებელია, თუ არა ასეთი გადასახადი, არის იმის მაგალითი თუ არა, რომ ერთი დაბა, ან ქალაქი, მეორეს სასარგებლოთ იწვესებდეს გადასახადს, აძლევს თუ არა ამის ნებას ქალაქის დებულობა. ერთხმათ გადაწყვეტილი იქმნა შუამდგომლობა გაიგზავნოს ამ საგანზე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან. გუბერნატორმა ეს შუამდგომლობა საშინაო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა, რომელმაც ქალაქის დებულების მეხუთე მუხლის ძალით უარჰყო იგი, როგორც კანონის წინააღმდეგი. ყველა ფხიზელი გონებიანი კაცისთვის აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ ამნაირი გადასახადის დაწესება ყოვლად შეუძლებელი იყო, მით უფრო, რომ ის პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა საქალაქო დებულების მე-5 მუხლს. მაგრამ ოზურგეთლები ისე მოიხიბლენ ბ-ნ თავდგირიძის ეშხით, რომ სრულიად დაჰკარგეს თავის ჩვეულებრივი სიფხიზლე და გამჭრიახობა და მარტო მარტო ოცნებას დაემორჩილენ. ასეთმა გარემოებამ არა ერთხელ და ორხელ ჩააყენა ბუნებით გამჭრიახე ოზურგეთლები უხერხულ მდგომარეობაში, როგორც მთავრობის, ისე თავისი თავის წინაშეაც. საქმე იქამდის მივიდა, რომ ის დაწესებულება, რომელიც მცხოვრებთა ინტერესების დამცველათ და მოსარჩლეთ იყო მოვლენილი, ე. ი. ქალაქის თვით მართველობა იმათი მდევნელი შეიქნა; და პირიქით აღმინისტრაცია მცხოვრებთა მოსარჩლე გახდა. ჩვენ აქ უნდა მოვეუხბროთ მკითხველს ერთი ამბავი, რომელიც ნათლათ დაგვანახვებს, თუ ამ ოთხი წლის განმავლობაში რა შემწეობას და დახმარებას უჩენდა ადგილობრივ მცხოვრებთ დღევანდელი ქალაქის საბჭო და ან თუ რას უნდა მოელოდნენ ისინი შემდეგში მისგან.

საზოგადოთ ცნობილია, თუ როგორ ეტანება გურული გლეხ-კაცობა, და საზოგადოთ გურული ხალხი, ქალაქებს. სოფელი მას დღეს ვეღარ აკმაყოფილებს, ამიტომ იგი ტოვებს თავი



სახლ-კარს, მშობლებს ნათესავეებს, ზოგჯერ ცოლ-შვილსაც, სამუდამოთ ეთხოვება იმ მიწას, სადაც ის დაიბადა, და ეშურება იქ, სადაც აღებ-მიცემობა და მრეწველობა დულს და გადადის. მაგრამ ვისაც შორს წასვლა არ ეხერხება, ის გურიაშივე ფიქრობს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილება რამდენიმეთ მაინც დაიკაყოფილოს; ამიტომ ის სოფლიდან ოზურგეთში ესახლება და მოქალაქეთ ხდება. მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ქალაქის თვითმართველობა თავიდანვე სიხარულით მიეგებებოდა ამ მოვლენას და თავის მხრით შემწეობას და დახმარებას თუ არ აღმოუჩინდა ოზურგეთის მოქალაქეთა რიცხვში ჩაწერის მსურველთ, დაბრკოლებას მაინც აღარ მიაყენებდა იმათ. ასე ეგონა ყველას, ხოლო ბ-ნი თავდგირიძე კი თურმე სულ სხვა ნაირათ ფიქრობდა. ჯერ ორი თვე არც კი გასულიყო თვითმართველობის დაწესების შემდეგ, რომ ბ-ნი თავდგირიძემ შუამდგომლობა აღძრა მთავრობას წინაშე იმის შესახებ, რომ განსაზღვრული ქონებრივი ცენზი იქნას დაწესებული იმათთვის, ვისაც მოქალაქეთ გახდომის სურვილი აქვსო (Отнош. за № 162). გუბერნატორმა უარპყო ბ-ნი თავდგირიძის ასეთი განკარგულება, რადგანაც ეს ეწინააღმდეგებოდა დღევანდელ კანონმდებლობას. დღევანდელი საქალაქო დებულება განსაზღვრულ ქონებრივ ცენზს მხოლოდ იმათაგან თხოულობს, ვინც ქალაქის არჩევნებში იღებს მონაწილეობას. და საზოგადოების მოწინავე ნაწილიც დღეს სწორეთ ამის მოსპობაზე ფიქრობს. ბ-ნი თავდგირიძე კი, რომელმაც საზოგადოების სამსახურისთვის იკისრა ოზურგეთის ქალაქის მთავრობა, იმის მაგივრათ რომ რაიმე შეღავათის შემოღებაზე ეშუამდგომლა მცხოვრებთათვის, გამოსულა და ქონებრივი ცენზის დადგინებას ფიქრობს იქ, სადაც ეს თვით მთავრობამაც ვერ ჰპოვა შესაძლებლათ. აი თურმე როგორ ესმის ბ-ნი თავდგირიძეს საზოგადო სამსახური! მაგრამ ეს კიდევ არაფერი.

ოდესმე უმაღლესი მთავრობის მიერ დაწესებული იყო, რომ ვისაც მოქალაქეთა სიაში ჩაწერა სურდა, ქალაქის სასარგებლოთ იხდიდა ერთხნობით ოც მანეთს. ქალაქის დებულების ძალით, ეს გადასახადი უნდა მოსპობილიყო. მაგრამ განა ბ-ნი თავდგირიძე გაივლებდა გულში რომელიმე არსებული გადასახადის მოსპობას, ის ბ-ნი თავდგირიძე, რომელიც მარტო-მარტო სხვა-და-სხვა გადასახადების გადიდებაზე ფიქრობდა, არამც თუ გაუქმებაზე? 1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში მან სხვათა შორის შეიტანა 600 მანეთი, როგორც შემოსავალი ქალაქის სიაში ჩაწერისთვის ახალ მოქალა-

ქეთაგან. გუბერნეტორმა სამართლიანათ დაინახა რა ამაში ქალაქის დებულების დარღვევა, უარპყო ასეთი წყარო ქალაქის შემოსავლისა, როგორც უკანონო. მაგრამ რადგანაც ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის წარდგენა გუბერნატორთან დაგვიანდა, ბ-ნი თავდგირიძეს კიდევაც აელო 600 მანეთი და კიდევაც დაეხარჯა, როცა ქუთაისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა დაწესებულებამ სრულიად მოსპო ეს გადასახადი.<sup>1)</sup> მაგრამ როგორ გგონიათ: დახვეინა თუ არა ბ-ნი თავდგირიძეს ამ კანონიერმა განკარგულებამ? სრულებითაც არა: ის ისეთი გამბედავი და შეუპოვარი გამოდგა, რომ ეს გადასახადი რამდენჯერმე შეიტანა კიდევ ხარჯთ-აღრიცხვაში და ადგილობრივ მთავრობასთან რომ ვერაფერს გახდა სენატში გადაიტანა საჩივარი. ბ-ნი თავდგირიძის სამწუხაროთ და მცხოვრებთა გასახარებლათ, ეს საჩივარი არც სენატმა შეიწყნარა, რადგანაც იმის შეწყნარება ნიშნავდა ან უკანონობის შეწყნარებას და ან ოზურგეთისთვის განსაკუთრებული პირობების შექნას მთელ რუსეთის სახელმწიფოში. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რით ასაბუთებდა ან რით ამართლებდა თავის საჩივარს ბ-ნი თავდგირიძე ამ საგნის შესახებ. ამისთვის ჩვენ ამოვწეროთ მისი საჩივრიდან სიტყვა-სიტყვით შემდეგი ადგილი: „Сборъ въ двадцать рублей ни для кого не обременителенъ... отъзна этого сбора невыгодна для нашего города, который лишень почти всякихъ ресурсовъ для удовлетворенія своихъ многочисленныхъ потребностей, для котораго не только упразднять существующіе старыя доходы, но даже всѣми силами нужно стараться создать новыя и не противорѣчащія вообще духу нашего законодательства доходы... Собрание уполномоченныхъ возбудило ходатайство въ пользу представляемаго города отъ причисляющихся по разумно установленному высшей административной властью, которая надо полагать, имѣла въ виду при установленіи этого сбора духъ и смыслъ существующихъ законовъ, взыскиваетъ городъ съ каждаго изъ нихъ только 20 рублей.“ (№ 622. სტილი და გრამატიკა დაცულია დედანის, ხაზ ვასმული სიტყვები ჩვენია). მაშასადამე ბ-ნი თავდგირიძე ხსენებულ გადასახადს იმით ამართლებს, რომ იმის გადახდა არავისთვის გასაქირი არ არის (не обременителенъ) და მეორე

1) ქუთაისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა დაწესებულების ოქმიდან (24 სექტ. 1897 წ.) ჩანს, რომ მას გადაუწყვეტია: იმ პირთ, რომლებსთვისაც ქალაქის თვითმართველობას განოურთმევია ეს გადასახადი, თუ სურვილს განაცხადებენ, ისევ უკან დაუბრუნდეთ იგი ქალაქის კასიდანო. მოიყვანეს ეს განკარგულება სისრულეში თუ არა, ამის არა ვუწყით-რა.



მხრით იგი საქაროა ოზურგეთისთვის, რომელსაც „არავითარი საღსარი არ აქვს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი“. ახლა ბ-ნ თავდგირიძეს მოვუწოდებო, რომ მან გულახდილათ დაეკითხოს მკითხველს: მართლა 20 მანეთის გადახდა სრულებით გასაჭირი არ არის სოფლის მცხოვრებისათვის, რომელიც ერთი ადგილიდან იყრება და მეორე ადგილას ესახლება? რატომ პირდაპირ არ ამბობს, რომ ამ ოც მანეთს იმიტომ ახდევინებს ის ხალხს, რომ იგი მისთვის საქაროა? არა, ამის მაგივრათ ბ-ნი თავდგირიძე მოურიდებლათ ამბობს, რომ 20 მან. გადახდა არავისთვის ძნელი არ არისო. მაგრამ ამით კიდევ არ კმაყოფილდება ბ-ნი თავდგირიძე. ასეთმა მიმართულებამ ის ისე გაიტაცა, რომ ცილიც კი დასწამა საწყალ ოზურგეთის მცხოვრებთ. კასაციურ საჩივარში სენატის მიმართ (14 იანვრიდან 1898 წ.) ის ამ გადასახადს ასე უწოდებს: „ნიკოგაობრემენიუშჩიი დობროვოლნიი სბორი“, მაშასადამე, გამოდის, რომ ამ გადასახადს ძღვევა არა თუ გასაჭირი და საძნელო არ ყოფილა, არამედ იგი თურმე ნება-ყოფლობით დაწესებული ყოფილა! საუ ან როდის მოხდა ეს ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება მცხოვრებთაგან, ეს არავინ უწყის, ხოლო თვით თავდგირიძე კი მოგვითხრობს, როგორც ზევით მოყვანილ სიტყვებიდან ჩანს, რომ ეს გადასახადი ადმინისტრაციის მიერ იქნა შემოღებული. აი ასეთი ლოლიკის პატრონია ბ-ნი თავდგირიძე, ის თავდგირიძე, რომელმაც საზოგადო სამსახურის შესახებ ლაპარაკით ყურები გამოგვიჭედა, როცა საქმე იმაზე მიდგება, თუ რა საშუალებით და რა გზით გამოტიკნოს ფულები ღარიბ მცხოვრებთა ჯიბეებისაგან. მაგრამ ყველაზე უფრო ბ-ნ თავდგირიძის ლოლიკურ ნახტომების საუცხოვო მაგალითს წარმოგვიდგენს შემდეგი ამონაწერი ერთი მისი მოხსენებიდან უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომელიც აქ მოგვყავს უცვლელათ, სიტყვა-სიტყვით.

საქმე იქიდან იწყება, რომ ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობას, როგორც დაწესებულებას, თავისი აზრი უნდა წარედგინა მთავრობისთვის ბინებზე გადასახადის შემოღებას თაობაზე. ბ-მა თავდგირიძემ შემდეგი მოსახრება წარუდგინა მთავრობას, წარმომადგენელთა კრებაზე მოწონებული: 2)

„Собрание уполномоченных единогласно высказалось, что изъ всѣхъ налоговъ квартирный справедливѣе, особенно для усиления мѣстныхъ средствъ города, который изъ всѣхъ городовъ За-

кавказья наиболѣе заслуживаетъ вниманія въ этомъ отношеніи: нигдѣ, ни въ одномъ городѣ нѣтъ дешевыя шевизны квартиръ, какъ у насъ, чиновники получаютъ такой же окладъ жалованія, какъ въ Петербургѣ и Тифлисѣ, тратятъ здѣсь незначительную, незамѣтную для бюджета отдѣльнаго хозяйства сумму, между тѣмъ пользуются такими же удобствами, какъ въ другихъ городахъ. Поэтому было-бы въ высшей степени справедливымъ установить здѣсь сборъ съ квартиранимателей, а не съ домохозяевъ; но слѣдуетъ это установить исключительно для усиленія скудныхъ средствъ города; но чтобы онъ не повлекъ за собой новаго казеннаго налога съ домохозяевъ, что будетъ очень неудобно; но если одинъ квартирный налогъ будетъ и тотъ въ пользу города, то не будетъ чувствоваться никакихъ неудобствъ. Въ случаѣ же введенія и госуд. кварт. налога, что нежелательно и невозможно, въ виду ограниченныхъ средствъ гор. Озургетъ, тогда слѣдуетъ ввести городской квартирный сборъ въ видѣ надбавки къ казенному квартирному налогу въ размѣрѣ 50%“ (Отн. за № 161, отъ 20 Ноября 1896 г.).

ლოლიკურ ნახტომების და უაზრობის მეორე ასეთი მაგალითის ჩვენება ძნელია. ბინებზე გადასახადის დაწესება მეტათ სამართლიანი იქნება ოზურგეთში, სადაც დიდი სიიაფეა ბინებისა; აქ მოხელეები ღებულობენ იმოდენა ჯამაგირებს, როგორც პეტერბურგში და თფილისში, ხარჯვენ კი თავის ჯამაგირებიდან სულ მცირედ რასმეს, და იმავე დროს სარგებლობენ ქალაქის მოწყობილებით, როგორც სხვა დიდ ქალაქებში. მაშასადამე, ბ-ნ თავდგირიძის ლოლიკით, ოზურგეთსა და პეტერბურგს შორის დიდი მსგავსებაა: ერთიც და მეორეც ერთნაირათ არის მოწყობილი, თუ სწავლა-განათლებით, თუ გზებით, თუ განათებით, ერთში და მეორეში ერთნაირი შეძლებული ხალხი, ე ი, მოხელეები, ცხოვრობს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ოზურგეთში მეტათ იაფეა ცხოვრება, მატარე ბინების სიიაფის გამო. იმიტომ, დასკვნის ბ-ნი თავდგირიძე, მეტათ სამართლიანა იქნება, თუ იმათ, ვინც ოზურგეთში ბინას ქირაობს, გადასახადს დავადებთ, რასაკვირველია, ქალაქის საღსარის გასაძლიერებლათო; მხოლოდ ამან არ გამოიწვიოს სახაზინო გადასახადი, რადგანაც ამს ვერ შეძლებენ ოზურგეთელებიო (დახვო, როგორ შებრალებია ოზურგეთელები ბ-ნ თავდგირიძეს! მაგრამ აქ რომ ლოლიკა ლალატობს ამაზე აღარ ფიქრობს). მაგრამ თუ მაინცა-და-მაინც სახაზინო გადასახადს დააწესებს მთავრობა ბინებზე, იმ შემთხვევაში ქალაქის სასარგებლოთაც უნდა შემოღებულ იქნას ასეთი გადასახადი, როგორც დამატება სახაზინო გადასახადზე 50% ოდენაო. გამოდის, რომ თუ ერთი სახაზინო გადასახადი

2) ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ ეს ციტატა რუსულ ენაზე მოგვყავს, რადგანაც რომ გადავეთარგმნა, ის ინტერესი აღარ ექნებოდა, რაც რუსულ ენაზე აქვს.



ძნელი იქნება გადამხდელთათვის, ის იმათ გაუადვილებათ მაშინ, როცა ამის ნახევარი კიდევ მიემატებათ! ეს ისეთი გაუგებარი და არა ჩვეულებრივი რამ არის, რომ ჩვენ მოაშინებთ აღარ გვყოფნის, ბ-ნ თავდგირიძის ლოლიკურ მსჯელობას ამ საგნის შესახებ ბოლომდის მივყვეთ.

ფ. მახარაძე.

(შემდეგი იქნება)



სხვა-და-სხვა ამბები

**შ**უშინ-წინ, 18 ამ თვეს, გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთ „ნოვ. ობოზრენიე“-სი.

პარიჟის მსოფლიო გამოფენას ქალბატონ აკინფიევისათვის მიუსჯია ვერცხლის მედალი. ქ-ნ აკინფიევისას თფილისში აქვს პირველ-დაწყებითი საკუთარი სკოლა და გამოფენაზე სხვათა შორის, წარუდგენია თავისი შრომა, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ბავშვა სათვალდათვალ სწავლა. ამასთანავე წარუდგენია სურათი, რომელზედაც გამოხატულია ის, თუ როგორ წარმოსდგა ლუკმაპური და აი, ამ სურათისთვის მიუღია ზემოთ აღნიშნული ჯილდო.

რადგანაც ამ ჟამათ ჩინეთში ომია და სახელმწიფოს ჩვეულებრივი ხარჯი მოუვიდა, ამიტომ მთავრობას გადაუწყვეტია, რომ 16 მარამობისთვიდან ღვინისა, სპირტისა და თამბაქოს ბაჟს მოემატოს.

პეტერბურგის უნივერსიტეტმაც გაუღო კარი სასულიერო სემინარიებში სწავლა დამთავრებულებს. მსურველთ აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე შესვლა შეუძლიანთ. ახლა, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან აღნიშნულს ფაკულტეტზე შემსვლელ სემინარიელთათვის გამოცდა 26 აგვისტოსათვის არის დანიშნული. ღდემდის მხოლოდ ოცი კაცია მთხოვნელი. ლექციები 1-ლ სექტემბერს იწყება.

რადგანაც თითქმის მთელ რუსეთში ნაკლებათ მოიპოვებიან პრაქტიკულათ მომზადებული მასწავლებელნი სახალხო სკოლებისათვის, საერო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია ამა მიმდინარე წლის შემოდგომიდან შემოიღოს ზოგიერთ გუბერნიაში განსაკუთრებული საპედაგოგო კურსები. კურსებს აზრათ ექნება მოამზადონ პრაქტიკულათ და თეორეტიულათ სახალხო სკოლების

მასწავლებლობისათვის ის ყმაწვილი კაცები, რომელთაც დაბალი განათლება მიუღიათ.

კავკასიის მეფუტკრეები მიმდინარე წლის შემოდგომიდან გახსნიან ფილიალურ განყოფილებას პეტერბურგში და საზღვარ-გარეთ თავიანთ ნაწარმოების გასავრცელებლათ.

მიმდინარე წელს ჩაქვის საუფლისწულო მამულში გაკეთდება 150 ფუთამდე ჩაი. ცნობილი ჩაის ვაჭარი რასტორგუევი იძლევა გირვანქაში 1 1/2 მანეთს

რკინის გზების უმთავრესს სამმართველოს საჭიროთ უცვნია ყველა რკინის გზებზე სამარხი კასები დაარსოს მსახურთა და მუშათათვის.

როგორც ისმის, ქალთა უმაღლესი საექიმო სასწავლებელში წელს თურმე 700 თხოვნა მიუტიათ. აღვლი კი მხოლოდ 175 არის.

წელს თფილისის იუნკერთა სასწავლებელში სწავლა დაუმთავრებია 19 ქართველს.

კიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შემსწავლელთაგან თხოვნებს აღარ იღებენ. წელს თხოვნა მიუტიათ ათასზე მეტი, ამათგან 150-მდე თხოვნა უკანვე დაუბრუნებიათ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ხოლო 875 თხოვნა მიუღიათ. ამათგან პირველ კურსზე მიიღებენ არა უმეტეს 350 კაცისა.

მიუხედავათ ბევრგვარი დაბრკოლებისა, გერმანიაში წელს თურმე ექვსასამდე ქალი ისმენს უნივერსიტეტის ლექციებს. 1890 წლებში კი ლექციების მსმენელ ქალთა რიცხვი ოცდაათს არ აღემატებოდა. ესეც დიდი ნაბიჯია ქალთა წარმატების გზაზე.

თფილისის საკომერციო სასწავლებელში შესვლის მსურველთა რიცხვი თურმე 400-ს აღემატება.

როგორც სატახტო ქალაქის გაზეთებს გაუგონიათ, უმაღლესათ დამტკიცებული ახალი საგერბო გარდასახადი 1901 წ. 1 იანვრიდან იქნება შემოღებული.

სოფ. რუის-პირიდან (თედავის მახრად) გვწერენ, რომ იქ გამუდმებულ წვიმებს ძალიან დაუზიანებ

ბია წლის მოსავალი. რის ვაი-ვაგლახით მომკილი პური ისევ ძნებათ უღვიათ და ცუდი ამინდის გამო ვერ ახერხებენ თურმე გაღვწვას. გარდა ამისა ვენახს ისეთაც ცოტა ესხა და რაც ესხა ისიც ერთიანათ გააფუჟა ნაცარმა. ერთათ ერთი იმედი საწყალ გლეხ-კაცობისა ეს არის, რომ სიმინდი მეტათ კარგია და იქნება ამით მაინც გამოვკვებოთ ცოლ-შვილიო.



**ოსმალეთი.** სასუსნში ხელ-ახლათ დაიწყო ქლეტა, ხელ-ახლა განმეორდა იქ ის საზარელი ამბები, რაც 1895 წელს: ამოწყვეტილი იქნა სომხების სოფელი. მართალი არ იციან, რამდენია მსხვერპლი: ზოგი ამბობს 60-დღე, ზოგი 300-დღე და ზოგიც 500-დღე. ამოწყვეტაში მონაწილეობა მიიღეს ქურთებმა და ჯარებმა. ოსმალეთის მთავრობა ცდილობს დაფაროს ეს ყოველივე. ამნაირათ ვეროპის სახელმწიფოები მოტყუებული დარჩენ ოსმალეთის მთავრობის მიერ, რომელმაც დაპირდა მათ რეფორმების შემოღება და წესრიგის გაუმჯობესება.



**ბერძანია.** ჩინეთის ომის გამო თორმეტი ათასი მუშა დარჩა უსაქმოდ. რამდენიმე ბანკი გაკოტრდა.

„კეკლის“ კორესპონდენციები

**ს. ჭალა** (შორაზნის მაცხა). კვირას, 6 მარამობის-თვის, სტენის-მოყვარეთაგან გაიმართა წარმოდგენა საქველ-მოქმედო მიზნით. დადგმულ იქმნა „ტუნწი“ გ. ერისთავისა და „მონადირე“ ვ. გუნიასი. რადგანაც საფერისცვალებით დიდი ხალხი იტის ჭალაში, ამისათვის თითქმის ერთი თვის წინეთ შეუდგენ სახლების შოვნას ამ საქმის მეთაურნი ქ-ნნი მართა აბაშიძის ასული და თაფლო წერეთლის ასული. სახლები სასტენო ბევრს აქვს, მაგრამ სასამ ქირა ხუთი მანეთი არ გაიღეს გამგებლებმა ვერ იშოვეს, ბოლოს დიდი გაჭირვებით მოაწყეს სტენა ხალხი ბევრი დაესწრო, სახლებში რომ აღარ ეტეოდენ გარეთ აივნიდან იუურებოდენ, სდაც ვითომ „გაღერეია“ იყო გამართული. წარმოდგენამ რიგაანათ ჩაიარა, ხალხს დიდი სიამოვნება ეტეობოდა და მადლობენიც დარჩნენ. სულ შემოვიდა ორმოცდა ორი მანეთი და ათი შაური. რადგან თითქმის ეველაფერი საეიდელი გაუხდათ და სტენის მოსაწყობათ ხარჯები შედარებით ბევრი მოუვიდათ; წმინდა შემოსავალი დარჩა ოცდა-ხუთ მანეთამდის. მოთავსებულთა თანხმობით და ხალხის სურვილით გადაწყვიტეს ეს ფული გარდაეცეს ეკლესიის სასარგებლოთ, — ამისთვის ეს ფულები უკვე გადაეცა ადგილობრვით მღვდელს.\* დიდი მადლობის ღირსნი არიან მოთა-

ვენი ამ კეთილი საქმისა, მეტადრე ქ-ნი ღ. ტატიშვილის ასული, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ბილეთების გაყიდვაზე. მადლობას ვუცხადებთ ბ. აკაკი ტეგეშელაშვილს, რომელმაც „ივანიკას“ რელი შვენიერათ ჩაატარა და იმერული სტენების წაკითხვით ხალხი ძლიერ ასამოვნა.

ს. კიკინაძე.

**ს. აკეთი** (გურია). ეს საში წელიწადის მას აქეთ, რაც აკეთის მაცხოვრის ეკლესიის მრევლთ აქეთ ერთკლასიანი საშრეველო სკოლა. ეს სკოლა დაარსებისთანავე არა სასურველ მდგომარეობაში იმეფებოდა. სკოლის შენობა მოკლებული იყო ყოველგვარ ჰიგიენურ და ჰედაგოგიურ თვისებებს. სასწავლო ნივთებიც არ მოკლებოდა ამ სკოლას. უკანასკნელათ მოსწავლეთა რიცხვმა ისე იკლო, რომ სკოლა საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა. ბევრი კიდევ გაიძახოდა: დღეს თუ ხვალ სკოლა სამუდამოთ დაგვიკარავს თავსაო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სკოლას გაუჩნდა ახალი ზედამხედველი. იანვრის ბირველ რიცხვებიდან აკეთის მაცხოვრის ეკლესიის მღვდლათ დანიშნა მამა დავით ჯინჯარაძე. ამ პატივცემულმა ბირმა რომ დანიხა სკოლის უკიდურესი მდგომარეობა, გულმხურვალეთ შეუდგა მის გაუმჯობესობას. წელს ბავშვები ბევრათ უკეთესი მომზადებული არიან, მინამ წარსულ წლებში. მომავალშიც იმედია სკოლა სასურველ ნიადაგზე იქმნას დამდგარი. ამავე მღვდლის შეტადინებით მაცხოვრის ეკლესია დღეს არა სასიამოვნო სურათს აღარ წარმოადგენს, როგორც წარსულ წლებში. შიგნით კედლები ეკლესიისა და სახურავი შელებილ იქნა, ამისთან მამა დავითმა 10—12-მდე ახალგაზდა ქალთ ასწავლა ქართული საეკლესიო კალობა ახალ კილოზე. ქალიშვილები ისეთი ტკბილის ნარნარის ხმით კალობენ ეკლესიაში, რომ ეველას გული რაღაც გამოთუქმელი სიამოვნებით აქვს საყსე. ამ დღეებში აქ ბრძანდებოდა მღვდელმთავარი, რომელსაც კალობა მეტათ მოეწონა. მღვდელმთავარმა დიდი მადლობა უძღვნა მკალობელ ქალებს. მამა დავითმა განიზრახა აკეთში ჭრა-კერვის სკოლა გახსნას, ამ საკანზე მან თხოვნა გაუგზავნა მღვდელმთავარს, რაიმე დახმარება აღმოგვიჩინეთო.

სამინისტრო სკოლის მასწავლებელი კოწია ჭეიშვილი.


მოსავალი 23 მან., რომელიც გადადებული იყო მომავალი სამრევლო სკოლისთვის შესანახათ გადაეცა ამ სოფლის დიდათ პატივცემულ აწ განსვენებულ სვიმონ აბაშიძეს და ადგილობრივ მღვდელ აღ. კურცხალიას. კარგი იქნება, რომ ამ სტენის მოყვარებმა მიაკციონ ყურადღება სკოლის უქონლობას და კვლავაც გამართონ წარმოდგენა და ამ 23 მ. კიდევ სხვა თანხა მიუმატონ.

\*) ჩვენ, როგორც გვახსოვს, ერთხელ კიდევ 1897 წ. ზაფხულში სოფ. ბალაში გაიმართა წარმოდგენა და მისი შე-

# ომის ამბები

ჰეინის აღების შემდეგ ევროპის და ამერიკის მოკავშირე ჯარების მიერ ამ ერთი კვირის განმავლობაში საუბრადღებო არა მომხდარა-რა. აქამდის ევროპის და ამერიკის სახელმწიფოების ჯარების მოქმედება იქითკენ იყო მიმართული, რომ ჩინეთის სატანტო ქალაქში— ჰეინში დამწვევადი ევროპის მთავრობათა საელჩოები გამოეხსნათ საშიშარი განსაცდელისაგან. დღეს ჰეინის უმეტესი ნაწილი ევროპიელ და ამერიკელ ჯარების ხელშია, საელჩოები განთავსდნენ უსუსრად, მაგრამ ახლა აღარ იცან, თუ შემდეგი მოქმედების პროგრამა რა უნდა იყოს.


განაგრძონ თუ, რადღობის იომონ? მოლაპარაკება დაიწყო—მაგრამ ვისთან? დედოფალი, რომელიც დღეს კანონიერ მთავრობათ ითვლება, ჰეინიდან გაიქცა ჩუმად, როგორც ამბობენ, შანაის პროვინციაში. მას იცავს 30 ათასი ჯარის კაცა. ამიტომ დღევანდელი მდგომარეობა ჩინეთში ისევ გამოურყვევია. ამკარა მხლელთ ის, რომ ამ ცოტახანში გამოჩნდება, თუ რა სწავლიათ ევროპის სახელმწიფოებს, თუმც ეს დღესაც ნათლათ ჩანს. ეს სწავლელი ის არის, რომ თითოეულმა სახელმწიფომ თავის საზღაური მიიღოს, რაც რომ ზარალი და ხარჯი მოუვიდათ ამ ომის გამო. რაც შეეხება რუსეთს, ეს საკითხი უკვე გამორკვეულია: მანჯურია, ანუ მდ. ამურის მარჯვენა ნაპირი, რომელიც რუსეთს საზღვრავს და რომელშიაც დღეს 12—14 მილიონამდე ხალხი ცხოვრობს, სამი მხრით გარემოცულია რუსეთის მძლავრი ჯარებით, და აღწე იქნება თუ გვიან რუსეთს უნდა შეუერთდეს. ასეთ საზღაურის მიღებაზე თქმობენ დღეს დანარჩენი სახელმწიფოებიც და დღეს შემდეგ უმთავრესი საკითხიც ეს არის. დღეს ევროპის სახელმწიფოები თანხმობით მოქმედებენ ჩინეთის წინააღმდეგ, მაგრამ იმათი კავშირი ერთმანეთ შორის ბევრზე ჭკადია, ეოველ წამში მოსალოდნელია იგი გაწეღეს და თვით იმათ შორის აუღ-მაუღი ატედეს. დღეს დღეობით კი, როგორც ტელეგრაფები გვატყობინებენ, ბრძოლა ისევ წინანდელათ სწარმოებს ევროპის მოკავშირე ჯარებსა და ჩინელების სხვა-და-სხვა რაზ-



სერბიის პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე.

მებს შორის. თუ ტელეგრაფებს დაუჯერებთ, ევროპელი ჯარები ეოველგან იმარჯვებენ. მეორე მხრით ჩინელებს სრულიად არ ეტყობათ, რომ ამ გამარჯვებამ იმათ უკან დაახევათ. — ახლა ერთი თვალი სამხრეთ აფრიკასაც გადავაგლოთ, მოვიგონოთ, რომ იქ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძვიან. მაგრამ დღეს ვიდას ახსოვს ბურები! ბუმბუკაზ ჩინეთის ამბებმა დაჩრდილეს ორი ზატარა თავისუფალი რესპუბლიკა, ბურების ქვეყანა, სადაც ამ ერთი წლის განმავლობაში ადამიანის სისხლით მოიწეო ეოველი ხელის დადება მიწა. ბურების ერთი მუჭა ჯარი გენერლებ ბოტას, დევეტის, ოლივიეს და დელარკის მეთაურობით შიშს და რისხვას გვირის დიდი ბრიტანიის ვეებერთელა ჯარებს, რომლებსაც მეთაურობენ ისეთი გამოჩენილი სარდლები, როგორც არიან ლორდი რობერტსი, ბულფერი, კიტჩინერი და სხვები. ამ უკანასკნელ დღეებში თავისი მოხერხებული მოქმედებით, ბურების ჯარის წინამძღოლებმა დიდი ზარალი და უსიამოვნება მიადეეს ინგლისის ჯარს. საინტერესოა, რომ ბურების მამაცობას და სამაკალითო თავგანწირვას თვით რობერტსიც კი მოჭეავს განცვიფრებაში, ის რობერტსი, რომელიც მუდამ ინგლისის სახელის მადიდებელია. მაგრამ ამ მთავარ-სარდალმა თავის მოქმედებით სამხრეთ აფრიკაში ბევრი მოაკლო დიდებულ ინგლისის სახელს. მაკალითათ, რაცა რობერტსი თავის ჯარით პროტორიაში შევიდა, პროკლამაცია გამოცდა, რომელშიაც ეველას, ვინც ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას არ მიიღებდა, მშვიდობას და მუდროებას ზიარებდა. მისი ახალი პროკლამაციით კი ეოველიც ეს უარყოფილია. ასე რომ ეველას ბურს მოკლის ან სიკვდილით დასჯას, ან დატუსადება და ან გადასახლება. ეველას სახლები და შენობები, რომელშიაც თავი შეიფარეს მტრებმა მიწასთან იქმნებიან გასწორებული, და იმათ ზატარაებს ჯარის გადასდებათ—ნათქვამია სხვათა შორის რობერტსის ახალ პროკლამაციაში. ასეთი განკარგულების გამო პროტორიიდან თავის ნებით გამოდინ მცხოვრებნი, რადგანაც ხედვენ, რომ მომავალში არაფერი კარგი არ მოკლით. ამნაირათ რობერტსის და მისი მთავრობის მიზანია სრულიად მოსხონ ბურები. მაგრამ ჩვენ ვიტყვით, რომ ინგლისელების გამარჯვება ბურებზე არასდღეს გამარჯვებ-

მებს შორის. თუ ტელეგრაფებს დაუჯერებთ, ევროპელი ჯარები ეოველგან იმარჯვებენ. მეორე მხრით ჩინელებს სრულიად არ ეტყობათ, რომ ამ გამარჯვებამ იმათ უკან დაახევათ. — ახლა ერთი თვალი სამხრეთ აფრიკასაც გადავაგლოთ, მოვიგონოთ, რომ იქ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძვიან. მაგრამ დღეს ვიდას ახსოვს ბურები! ბუმბუკაზ ჩინეთის ამბებმა დაჩრდილეს ორი ზატარა თავისუფალი რესპუბლიკა, ბურების ქვეყანა, სადაც ამ ერთი წლის განმავლობაში ადამიანის სისხლით მოიწეო ეოველი ხელის დადება მიწა. ბურების ერთი მუჭა ჯარი გენერლებ ბოტას, დევეტის, ოლივიეს და დელარკის მეთაურობით შიშს და რისხვას გვირის დიდი ბრიტანიის ვეებერთელა ჯარებს, რომლებსაც მეთაურობენ ისეთი გამოჩენილი სარდლები, როგორც არიან ლორდი რობერტსი, ბულფერი, კიტჩინერი და სხვები. ამ უკანასკნელ დღეებში თავისი მოხერხებული მოქმედებით, ბურების ჯარის წინამძღოლებმა დიდი ზარალი და უსიამოვნება მიადეეს ინგლისის ჯარს. საინტერესოა, რომ ბურების მამაცობას და სამაკალითო თავგანწირვას თვით რობერტსიც კი მოჭეავს განცვიფრებაში, ის რობერტსი, რომელიც მუდამ ინგლისის სახელის მადიდებელია. მაგრამ ამ მთავარ-სარდალმა თავის მოქმედებით სამხრეთ აფრიკაში ბევრი მოაკლო დიდებულ ინგლისის სახელს. მაკალითათ, რაცა რობერტსი თავის ჯარით პროტორიაში შევიდა, პროკლამაცია გამოცდა, რომელშიაც ეველას, ვინც ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას არ მიიღებდა, მშვიდობას და მუდროებას ზიარებდა. მისი ახალი პროკლამაციით კი ეოველიც ეს უარყოფილია. ასე რომ ეველას ბურს მოკლის ან სიკვდილით დასჯას, ან დატუსადება და ან გადასახლება. ეველას სახლები და შენობები, რომელშიაც თავი შეიფარეს მტრებმა მიწასთან იქმნებიან გასწორებული, და იმათ ზატარაებს ჯარის გადასდებათ—ნათქვამია სხვათა შორის რობერტსის ახალ პროკლამაციაში. ასეთი განკარგულების გამო პროტორიიდან თავის ნებით გამოდინ მცხოვრებნი, რადგანაც ხედვენ, რომ მომავალში არაფერი კარგი არ მოკლით. ამნაირათ რობერტსის და მისი მთავრობის მიზანია სრულიად მოსხონ ბურები. მაგრამ ჩვენ ვიტყვით, რომ ინგლისელების გამარჯვება ბურებზე არასდღეს გამარჯვებ-



ბათ არ ჩაითვლება, და შეიძლება მხრით არც ბუკების დამარცხება ინგლისელებთან ბრძოლაში ჩაითვლება დამარცხებათ. დამარცხება დამარცხებისა და ინგლისელებს კი ანასადეს ბუკების დამარცხება არ შეუძლიათ. იმათ შეუძლიათ მხოლოდ ამოწყვეტონ.

უკანასკნელი ტექსტის რამეები ამის შესახებ:

**ზანაი.** ამას ინგლისის კონსულის ცნობით, იაპონიის ზარბაზნები დაუმისწერეს ტოტოის იამინს. მდგომარეობა საშიშოა. ტოტოიმ განაცხადა პროტესტი ჯარების გადმოსხმის შესახებ; ჯარების გადმოსხმა ეწინააღმდეგება პროვინციის მმართველებთან შეთანხმებასო მან გამოაცხადა—წესიერებას ვერ დავიცავ, თუ ევროპელები ჯარებს არ წაიყვანენო.

**ჰონკო.** აქ მიღებულია ცნობები, რომ „შავი დროის“ ჯარები თავს დასხმიან ჩრდილოეთ მდინარის ნაპირებზე მცხოვრებთ და სძარცვავენ მათ.

**ბელფოსტი.** 14 აგვისტო. ბურებს კიდევ უჭირავთ რკინის გზიდან სამხრეთისაკენ მდებარე სიმაგრეები. მაგრამ განდევნილ იქმნენ იმ პოზიციებიდან, საიდანაც გუშინ ზარბაზნებს ისროდნენ; ხეობაში კიდევ იმალებიან ბურების მცირე რაზმები; ბურები კიდევ ესვრიან დროგამოშვებით ინგლისელების ბანაკს ორი ზარბაზნიდან და აიძულეს ინგლისელები უკან წაეღოთ თავინთი ურემები.

**პეკინი.** სამმა რუსეთის, ორმა იაპონიის, ინგლისელთა და ამერიკელთა ბატალიონებმა დაზვერეს იმპერატორის სასახლის ტყე პეკინიდან ხუთი მილის მანძილზე; მათ იქ არ შეხვედრიათ ჩინელთა ჯარები. საზაფხულო სასახლე დღეს დაიჭირეს იაპონელებმა, საზაფხულო სასახლე კი მოკავშირეთა ჯარებმა დაიჭირეს. მოკავშირეთა ჯარები წავიდნენ სამხრეთისაკენ; პეკინში დატოვეს მხოლოდ მცირე რაზმი ჯარებისა ქრისტეან ჩინელთა თასაცველათ.

**ჰონკო.** ბევრმა ჩინეთის სავაჭრო სახლებმა შესწყვიტეს საქონლის გაგზავნა ახოისში, რადგანაც იგი იაპონელებმა დაიჭირეს. დასავლეთ მდინარით ჩინელი ჯარები 15 ნავით მადიან ვუჩეოუსაკენ.

**ლონდონი.** რობერტსი დეპუტით იტყობინება, რომ ბულღერმა დაიპყრო მახადოლოზი.



ჭიათურის მაგი-ქეის მრეწველთა კრება ქუთაისში.

მრეწველთა კრება ჯერ ჩვენთვის ახალი ხილია; „კვალს“ არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი ამ გვარი კრებების მნიშვნელობის შესახებ, და ამისთვის ამაზე ლაპარაკით მკითხველს არ შეგაწუხებთ მით უმეტეს, რომ ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობა და მათთან ერთათ ჩვენი საზოგადოებაც გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა ამ კრებებს, რაც იმის უტყუარი მომასწავებელია, რომ მათ შეუფერიათ, თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს ამ გვარ კრებებს მთელი ერისთვის.

კრებები დასრულდა, და ჩვენ შეძლებდა გვეჩვენებინა ძლიერად აღწერსოთ მისი ნამოქმედარი.

კრებებმა მეტათ ცოცხლათ ჩაიარა; ხშირათ კამათი რომელიმე საგანზე მეტათ გამწვავდებოდა და ერთ ალიაქოთს გამოიწვევდა ხოლმე; ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან კრება ორ პარტიათ იყო გაყოფილი—მსხვილი და წვრილი კაპიტალის წარმომადგენელნი. ისინი ერთდებოდნენ, როცა ამას საერთო ინტერესი მოითხოვდა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მართავდნენ, როცა ერთი მეორის უფლებების შემცირებას მოინდომებდა, მეორის უბედურებაზე თავის ბედნიერების აგებას მოიწადინებდა. ამ გვარი იყო, მაგალითათ, კითხვა ბაქნების და ვაგონების გაწესრიგების შესახებ. ეს კითხვა ერთი უმთავრესი კითხვათაგანი იყო შავიქვის მრეწველთათვის; წვრილ მრეწველთა მთელ უკმაყოფილებას საბჭოს მიმართ აქ აქვს დასაბამი, და სასურველი იყო საბჭოს ამ საგნის შესახებ რამე პროექტი წარმოედგინა, რომ კრებას აეწონა დაეწონა ის და საბოლოოთ გადაეწყვიტა ეს მეტათ მწვავე კითხვა; მაგრამ, სამწუხაროთ, საბჭოს არა თუ რაიმე პროექტი არ შეუმუშავებია, პირიქით თავისი აზრის წარმოთქმაც კი ვერ მოახერხა. როცა ბ. ქვარიანმა შენიშნა: სასურველია საბჭოს აზრის მოსმენაო, ამაზე ბ. ზდანიოვიჩმა უპასუხა: „საბჭოს სურს ქვარიანის აზრი მოისმინოსო“. ამ გვართ საბჭომ მისკენ მიმართული საბუთიანი საყვედური ოხუნჯობაში ჩაატარა. გონიერი პასუხის მაგივრათ ოხუნჯობას მოჰყვა. კრებამ კომისია აირჩია და მიანდო ამ საგნის გამორკვევა. კრების პირველ დღიდანვე საბჭოს ოპოზიცია გაუჩნდა და მოისურვა საბჭოს ოთხი წლის ნამოღვაწევის კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარება, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ მეტათ წელი იყო ესეცეცხლი. შეიძლება ეს იმითიც აიხსნებოდეს, რომ საბჭოს მოქმედების ანგარიში მხოლოდ მეორეთ თუ მესამე კრებაზე დაურიგდათ: წევრებს გასაცნობათ, რის გამო ოპოზიციამ ვერ მოასწრო მომზადება.

პირველი ნაბერწკალი ოპოზიციისა სარევიზიო კომისიის მოხსენებამ გამოიწვია, საიდანაც ჩანს, რომ საბჭოს ყოველივე მოქმედება კანონიერი ყოფილა, შესავალ-გასავალი სრული სიმართლით ჰქონია ნაწარმოები. ოპოზიციამ ეჭვი-შეიტანა სარევიზიო კომისიის მოხსენებაში და მოითხოვა ახალი სარევიზიო კომისიის შედგენა. საბჭოს და სარევიზიო კომისიას ეს ეწყინა, და აქეთ-იქიდან მწვავე სიტყვები მოისმა: კომისიას კომისიას უნიშნავენ,—ირონით წამოიძახა ბ. ზდანიოვიჩმა; გამწოთენელი კომისია საჭირო გაუგებარ წევრთათვის, — შენიშნა ვილამაც. აქ თავმჯდომარე ჩე-



რია საქმეში და კამათი აღკრძალა. სარევიზიო კომისია ურევიზიოთ გადაჩა, ეჭვი ეჭვით დარჩა.

როცა ბაასი სტიპენდიების დანიშვნაზე ჩამოვარდა, და კითხვა ხმის უმეტესობით უნდა გადაწყვეტილიყო, ბ. ზდანოვიჩი მწუხარებით აცხადებს,


პარტებრი, როცა ეს საქმემ მოითხოვა დაადგინა სტიპენდები მიეცეს სამთო დაბალ სასწავლებლის 5 შეგირდს თითოს 300 500 მან. მიეცეს აგრეთვე 800 მან. ი. პაპავას ფრებიურგის სამთო სასწავლებლის შეგირდს გერმანიაში.



ქობი ტყეში.

რომ კითხვის გადაჭრა შეუძლებელია, რადგან პარტერში კრების წევრთა გარდა, ბევრ უცხო პირებსაც ხელავს, რომელთა დასათხოვით საჭიროა პოლიციის მოწვევა. მაგრამ წარმოიდგინეთ სტუმრების ზრდილობა: მათ უპოლიციოთ დასტოვებს

კრებამ გადაწყვიტა აგრეთვე მიიღოს მთავრობისაგან ქიათურის ქსენონი და დაარსოს საავთმყოფო 50-60 ავთმყოფთათვის. ბ. ზდანოვიჩი წინადადებას აძლევს კრებას, რომ მან შეიძინოს ქიათურაში მიწა, რომელზედაც უნდა ააშენოს სამკურნა-



ლო, აბანოები და სხვა. კრება ერთხმით იღებს ამ წინადადებას,

ქიათურაში ადგილების შექმნამ გამოიწვია კითხვა, თუ სად უნდა ბინადრობდეს შავი-ქვის მრეწველთა საბჭო. ბ. ს. ფირცხალავას წინადადება შეაქვს, რომ საბჭოს მუდმივი ბინა ქიათურაში უნდა იყოს და არა ქუთაისში და თხოვს კრებას გადაწყვიტოს ეს კითხვა. თავმჯდომარე არავის აძლევს ამაზე ლაპარაკის ნებას; რადგან საკამათო საგნების პროგრამაში. არ არის ეს საგანი აღნიშნული. კრება თხოულობს, ტელეგრამით მიმართონ მინისტრს, რათა მან ნება დართოს კრებას მსჯელობა იქონიოს ამ კითხვის შესახებ. ზღანოვიჩი ძალზე ცხარობს; ის ავითატორებს აწერს ამ კითხვის აღძრას. ეტყობა საბჭოს ძალიან ეძნელება ქუთაისიდან გადაბარება.

კრებამ მიიღო მინისტრიდან ნებართვა და ხმის უმეტესობით გადაწყვიტა: საბჭო ქიათურაში ბინადრობდეს. კრებამ გადაწყვიტა იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს ქიათურის „პასადათ“ გადაკეთებისა და შემოკლებული თვით-მართველობის შემოღების შესახებ. გადაწყვეტილ იქმნა აგრეთვე დაარსება სტიტიტიკურ ბიუროსი.

შემდეგ ჯერი მიდგა პროგრამის 15 §-ზე, ე. ი. საპენსიო კასის ანუ მუშათა დამხმევე საზოგადოების და საზოგადოთ მათ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე. ბ. ზღანოვიჩი კითხულობს მოხსენებას მუშების დაზღვევის შესახებ; კრება ტაშის კვრით მიეგება ბ. ზღანოვიჩის პროექტს და ერთ ხმით მიიღო იგი. კრების სასახელოთ უნდა ვთქვათ, რომ ის საკმაო გულმხურვალეთ მოეკიდა ამ პარაგრაფს და თითქმის ერთ ხმით ბევრი საყურადღებო რამ გადაწყვიტა. მით უფრო სასიამოვნოა ეს მოვლენა, რომ ამ წელში მომხდარ ორ საყურადღებო კრებაზე — ბაქოში ნავთის მწარმოებელთა და ხარკოვში სამხრეთ რუსეთის მთა მადნის მრეწველთა — ძალიან აღმაცერათ შეხედეს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესობას და უკანასკნელთა მომხრეებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ თავიანთ მრჩნის მისაღწევათ. სამხრეთ რუსეთს მრეწველთა კრებაზე, მაგალითათ, ის აზრი გამოითქვა, რომ ქვანახშირის მადნებში მომუშავე მუშათა მდგომარეობა სანატრელი და სახარბიელოა; საჭიროა მხოლოდ მუშათა კახარმებში გაიყოს საწოლი სასადილო ოთახისაგან და სამუშაო ქირის მოსამატებლათ უქმე ღლები რიცხვის შემცირებაო.

ქუთაისის კრებას არ დაუხუჭავს თვალები სინამდვილის დასანახავათ, ის უფრო ხელ-გაშლილი მოქმედობდა. კრებამ დაადგა: გამართოს მუშათათვის იაფ-ფასიანი სასადილოები, საკვირაო სკოლა, სამკითხველო და სახალხო თეატრი. კრებამ დაადგი-

ნა იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს, რათა მრეწველნი კანონით ვალდებულნი იქნენ მუშებს გაუსწორდენ კვირაობით და არა შაბათობით, როგორც აქამდე იყო. ბ. ი. ლორთქიფანიძე ამტკიცებდა, რომ ეს საზარალო იქნება თვით მუშებისათვის და ისინი არ ისურვებენ ამასო. ჩვენ ჩვენი მხრით დავარწმუნებთ ბ. ი. ლორთქიფანიძეს რომ მუშები არსად საჩივარს არ შეიტანენ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. კრებამ ერთ ხმით მიიღო აგრეთვე წინადადება იმის შესახებ, რომ მუშები კვირაობით თავისუფალი იყვენ შავი-ქვის ჩაბარების და მიღებისაგან. კრებამ დაავალა საბჭოს შესცვალოს ნორმალური წესდება სამკურნალო კასისა ადგილობრივ პირობების მიხედვით და წარუდგინოს დასამტკიცებლათ ვისაც ჯერ არს. რალა თქმა უნდა, რომ ყველა ეს გადაწყვეტილება წვეთია ზღვაში, ამათ კიდევ არ ენიჭებათ ჩვენი ერის სიმდიდრის ნამდვილი შემქნელი, ის, რაც უნდა ეკუთვნოდეთ. კრებას ბევრი რამ დარჩა კიდევ ამ მხრით გასაკეთებელი: მას არა უთქვამს რა, მაგალითათ, მუშათა სადგომების გაუმჯობესობაზე, სამუშაო ქირის მომატებაზე და სხვა.

პოლიციის რეორგანიზაციის შესახებ კრებამ დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა, რომ სამრეწველო პოლიცია განთავისუფლებულ იქნას საზოგადო საპოლიცია მოვალეობისაგან და არსებულ შტატს მიემატოს ბოქაულის თანამემწე და საქმეთა მწარმოებელი. მექანიკურ დაღმართების გამართვის და ელექტრონით განათების შესახებ კრება ვერავითარ დასკვნამდი ვერ მივიდა; კრებამ ნაადრევათ ცნო აგრეთვე პროგრამის მე-17 მუხლის განხორციელება, ე. ი. 1/4 კაპ. მომატება შავი-ქვის გადასახადზე, დასასრულ კენჭი უყარეს საბჭოს თავმჯდომარეს თანამდებობაზე ბ. ზღანოვიჩს და ინჟინერ კალატოზიშვილს. არჩეულ იქნა პირველი.

გ. წ.

### ჩემს პეილს სმართებს

(მიბაძვა ბერანესი)



ოსევ შენ და ისევ შენ,  
ჩემო, ძველ სერთუკო,  
სხვას ვეღარ შევიკარავ,  
მაღე არ დაიფუკა!  
მეგობარო, გულ-შტკიცეთ  
შემჩხი აქამდის შენა,  
ერთი გვაქს ჩვენ ცხოვრება,  
ერთი ჭირი და ღხენა.  
შენ და მოკლდი და მე კი

საქართველო  
საქართველო

ქამართან შევიწურე,  
 ცოცხითა გწმენდ, სუნულათ  
 შელანი დაგაპკურე!  
 რამ ზარსის კარებში  
 მუხას მიველაქროთ,  
 ჩვენებური სიმღერით  
 ნაღველში ცრემლი ვლესოთ!  
 მახსოვს, ძმა ერთგულად,  
 რაღა შენ შეგიძინე,  
 სადღეგრძელად მოგიძღვენ  
 და ტკბილათ დავიძინე.  
 ვთქვი: ვიუიდე სსსსლე,  
 ამიერიდგან წვიმა  
 ამ ციხე დარბაზიდან  
 კანთან აღარ ჩამივა.  
 ზაფხულის აგარაკა,  
 ზამთრის თბილად ბუნავად,  
 ბრწყინვალე გვამათვისა  
 არ გვივარჯა უზანგა!  
 და თუმცა დაუძღურდი,  
 ვიუიდავ, არ მოგხრი წელში.  
 ჩვენ ხომ არ გვირბენია  
 მათ ბრწყინვალე კარებში?!  
 ასე, ჩემო სერთუკო,  
 ჩემო ავლა დიდება,  
 ვიარათ, ვიდრე კუბო  
 მხრებზე აგვიკიდება!  
 მაშინ, ვთხოვ, ჭირისუფალთ  
 საფლავს კლიტე დაადონ,  
 ვშიშობ რედაქტორებმა  
 სერთუკიც არ გამხადან!  
 მანამდის კი ისევ შენ,  
 ჩემო ძველ სერთუკო,  
 სხვას ვეძარ შევიკერავ,  
 მაღე არ დაიფუკა!

ი. ევლოშვილი.

### ხელოვნება და მისი მიზანი.

(შემდეგი) \*


როგორც ზემოთა ვთქვი, ხელოვნება ფსიხო-  
 ლოგიური პროცესია. დღევანდელი ფიზიოლოგიუ-

რი ფსიხოლოგია თავის ძირითად ელემენტად მოდგენას აღიარებს. წარმოდგენათა შეერთებით ის ხსნის ყოველგვარ ფსიხოლოგიურ აქტს, როგორც მარტივს, ისე რთულს. წარმოდგენას აღამიანის ტვინში იწვევს გრძნობელობა (ощущение), ყოველი გრძნობელობის მიზეზი არის ერთი მხრით ჩვენს გარეშე, მეორე მხრით ჩვენში. ჩვენ გვაქვს გრძნობის რამოდენიმე ორგანო. იმოქმედებს თუ არა გარეშე მიზეზი გრძნობის რომელსამე ორგანოზე, ეს მოქმედება ნერვების შემწეობით გადაეცემა თავის ტვინში გრძნობელობის ცენტრებს\*) და ამგვარათ ამ ცენტრებში დაიბადება გრძნობელობა. ეს ცენტრები წვრილი ნერვების შემწეობით უერთდებიან წარმოდგენის ცენტრებს; გრძნობელობა გადაეცემა ამ ცენტრებს პირველი ცენტრებიდან და ამგვარათ ჩნდება წარმოდგენა. ამ უკანასკნელი ცენტრების ძირითად თვისებას ის შეადგენს, რომ მათ შეუძლიათ როგორც წარმოდგენათა აღძვრა ისე წარმოდგენათა შერჩენა, რასაც მდაბიურათ მეხსიერებას ვეძახით. რანაირათ ჩნდება ნერვების ცენტრებში გრძნობელობა, წარმოდგენა და წარმოდგენათა შეერთებით მთელი აზროვნება, ეს სრულებით გაუგებარია. რადგანაც ყოველგვარი ხელოვნების სათავე, როგორც ფსიხიური აქტის, წარმოდგენაა, წარმოდგენის გამომწვევი კი გარეშე მიზეზია და აღამიანის ფსიხიკა, აქედან ცხადია, რომ ყოველი ხელოვნება ნაყოფია ორი ფაქტორის: გარეშე მიზეზისა და მწერლის ფსიხიკისა. როგორც ყოველი ფსიხიური აქტი, ხელოვნებაც რეფლექტორული აქტია. რა არის რეფლექსი, ამას ახლავე ავხსნი. მძინარე ბავშს რომ ფეხზე ნემსი უჩხვლიტოთ, ის ფეხს გაანძრევს; ამ გვარსავე მოვლენას ჩვენ ვხედავთ ყველა ცხოველებში, რომლებსაც ნერვები აქვთ. ამოუჭერთ ბაყაყს თავის ტვინი და დასვით ერთ ალაგას. რამდენ ხანსაც უნდა გააჩეროთ ასე ბაყაყი, ის ალაგიდან არ დაიძვრის. მაგრამ ნემსი რომ უჩხვლიტოთ ფეხზე, მაშინათვე გადახტება; სიმუხვე რომ წააცხოთ რომელიმე ალაგას, ეცდება, ფეხით სიმუხვე მოიცილოს. აი ამ მოვლენას უწოდებენ რეფლექსს.

როგორ ხსნის თანამედროვე მეცნიერება რეფლექსს? ყოველგვარი რეფლექტორული მოძრაობისათვის საჭიროა გრძნობის ნერვი, ცენტრი, რომელსაც ეს ნერვი უერთდება, და მოძრაობის ნერვი, რომელიც ამ ცენტრიდან გამოდის, მაგალითათ, თქვენ უჩხვლიტეთ მძინარე ბავშს ფეხზე

\*) ცენტრი ჰქვია ნერვული უჯრედების გროვას, რომელიც ერთ განსაზღვრულ ფუნქციას განაგებს.

\*) იხ. „კვალი“ № 33.



ნემსი. ის ამ დროს ტკივილს ვერა გრძნობს; რომ იგრძნოს, გამოელვძება, მიუხედავად ამისა ფეხი მაინც იქით მიაქვს. ამის მიზეზი აი რა არის: ფეხის კანში გაფანტულია გრძნობის ნერვები. როდესაც თქვენ ბავშვს ფეხში უჩხვლიტეთ, ამით გრძნობის ნერვი (ერთი ან რამოდენიმე) გაალიზინეთ. ეს გალიზინება გარდაეცა ხერხემლის ტვინში იმ ცენტრს, რომელსაც გალიზინებული ნერვი უერთდება. ამ ცენტრიდან მოდის ფეხის კუნთებისაკენ მოძრაობის ნერვი; გალიზინება ცენტრიდან ამ ნერვზე გადმოვიდა, ამ ნერვმაც კუნთები შეამოკლა და ამ გვართ ფეხი აამოძრავა. ყოველი რეფლექტორული აქტი აუცილებელია: თუ კი არსებობს გარეშე მიზეზი, რეფლექსი უსათუოთ გაჩნდება. რეფლექტორული ცენტრები ხერხემლის ტვინშია. თავის ტვინში ასეთი ცენტრები ჯერ ვერავის უპოვია, მაგრამ ასეთი ცენტრების არსებობაზე ბევრი ფაქტები გვითითებენ. შედარებითი ანატომია ექვს გარეშე ჰყოფს, რომ თავის ტვინი უმაღლესათ განვითარებული ხერხემლის ტვინია. ანატომიაში თანდათან მკვიდრდება აზრი. უკვე გიოტეს მიერ გამოთქმული, რომ თავის კეფის ძვლები იგივე ხერხემლის ძვლები არიან, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში დიდი ცვლილება განუცდიდათ. არის ერთი უმაღლესი ხერხემლიანი ცხოველი amphioxus lanceolatus-ი, რომლის თავის ტვინი და ხერხემლის ტვინი ერთი-მეორისაგან არ განირჩევა; ამ ცხოველში თავის ტვინი ჯერ იმდენათ ვერ განვითარებულა, რომ ხერხემლის ტვინიდან გამოყოფილიყოს. რგვალ პირიან თევზებში თავის ტვინი ცოტათი მომხსნა ხერხემლის ტვინზე და ამით განირჩევა უკანასკნელისაგან.

აქედან დაწყებული რამდენიც უფრო განვითარებულია ცხოველის ორგანიზაცია, იმდენი უფრო სხვილი თავის ტვინი აქვს, ე. ი. თავის ტვინი იმდენათ უფრო დაწინაურებია განვითარებაში ხერხემლისას. თუ კი თავის ტვინი ხერხემლის ტვინიდან განვითარდა, ხერხემლის ტვინში კი რეფლექტორული ცენტრებია. აშკარაა ასეთი ცენტრები თავის ტვინშიც უნდა იყოს, მაგრამ თავის ტვინის მოქმედება იმდენათ რთულია და მრავალ გვარი, რომ ამ რეფლექტორული ცენტრების გამოცალკეება და გამოაშკარავება ჯერ ვერავის მოუხერხებია. თავის ტვინის მოქმედება იმდენათ წააგავს რეფლექტორულს, რომ ექვს გარეშეა, ყოველი ფსიხიური აქტი იგივე რეფლექსია იმ განსხვავებით, რომ თავის ტვინში აღძრულ რეფლექსს ჩვენ ვგრძნობთ. თავის ტვინის მოქმედება რეფლექსებათ პირველათ სენსიტივია აღიარა. როდესაც სამოცდა-ათ წლებში მისი შესანიშნავი წიგნი „თავის

ტვინის რეფლექსები“ გამოვიდა, როგორც რუსეთში, ისე საზღვარ გარეთ საშინელი პოლემიკა და კრიტიკა გაიმართა. სენსიტივია მაშინ ძალიან ცოტა მომხრე გამოუჩნდა, მაგრამ დღეს მისი მომხრეთა რიცხვი სწრაფათ იზრდება. ჯერ სრულებით ახალგაზრდა ფიზიოლოგიური ფსიხოლოგია სწრაფათ იზიდავს თავისკენ მეცნიერებს; ის უარჰყოფს თავისუფალ ნებას, ქადაგებს სრულ დეტერმინიზმს ფსიხიკის მოქმედებაში და ფსიხოლოგიაში დეტერმინიზმის შემოტანა ხომ იგივე რეფლექსებით ახსნა არის თავის ტვინის მოქმედებისა. ხელოვნებაც, როგორც ფსიხიური აქტი, თავის ტვინის რეფლექსებათ უნდა ჩავთვალოთ. პოეტი, რომლის ფსიხიკაშიც, გარეშე მიზეზი სხვა და სხვა წარმოდგენებს იწვევს, აღრე თუ გვიან კალამს იღებს ხელში, რომ თავისი წარმოდგენანი გარეთ გამოიტანოს, როგორმე გამოხატოს; ან გარეშე მიზეზთაგან აღძრულ წარმოდგენანი ჰბადავენ მასში სხვა და სხვა გრძნობებს, ემოციებს, და ის კალამს იღებს, რომ თავისი სულისა და გულის მოძრაობა გამოხატოს. ამაში მე ვხედავ მხოლოდ ასაცილებელ რეფლექტორულ აქტს. თუ ხელოვნების პროცესი რეფლექტორულია, რატომ ყველა ხელოვანი არ არისო, იკითხავს მკითხველი. შემცდარია ის აზრი, ვითომ ხელოვნის ნიჭი სრულებით დაშორებული იყოს არა ხელოვნის ნიჭს, სახელოვნო ნიჭის ნახსი ყოველ ადამიანს აბაღია. აიღეთ ბავში, რომელიც თოვლის კაცს აკეთებს; ამ თამაშში უსათუოთ არის ხელოვნების ნიშნები. ყოველ ჩვენგანს ხასიათათ სჭირს, თუ რამე ნახა, ან გაიგონა. საყურადღებო, უსათუოთ სხვასაც უნდა შეატყობიოს. ძვირათ ნახავთ ისეთ ადამიანს, რომელსაც სიყმაწვილეში ან ლექსი ან რაიმე მოთხრობა არ დაეწეროს. შეიძლება ერთი და მეორეც ძალიან შორს იყოს ხელოვნებაზე, მაგრამ ასეთი პროცესი უექველი მზავსებაა სახელოვნო პროცესის. ამ გვარი მაგალითები შეიძლება ბევრი მომეყვანა, მაგრამ აქედანაც ცხადია, რომ ხელოვნის ნიჭი იგივეა, რაც ჩვეულებრივი ადამიანის, მხოლოდ პირველ შემთხვევაში ეს ნიჭი ერთი მიმართულებისაკენ უმაღლესათ არის განვითარებული, მეორე შემთხვევაში კი არა. რათ ვითარდება ერთ შემთხვევაში ეს ნიჭი, მეორეში კი არა, რათ არის ერთი ხელოვანი ძლიერი, მეორე კი სუსტი და სხვა. ამ გვარი კითხვები ჯერ ჯერობით სრულებით გაუგებარია და აუხსნელი. აქ მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მემკვიდრეობას, იდეათა ასოციაციის მრავალ-გვარობას და სიმდიდრე—სიღარიბეს, რეფლექსების სისწრაფე-სიძლიერეს, მაგრამ, ვიმეორებ, ასეთი კითხვები დღევანდელი მეცნიერებისათვის მიუვალ სიმაგრეს შეადგენენ.

# „პსინოპატი“

(ამბავი)

რაკი ერთხელვე იმოქმედა ხელოვანზე რაიმე მოვლენამ, ფაქტმა ერთის სიტყვით მიზეზმა, მას არ შეუძლია თავისი სულიერი მოძრაობა არ გამოააშკარავოს ე. ი. არ შექმნას სახელოვნო ნაწარმოებნი. მაშინ, როდესაც ის თავის წარმოდგენებს ხატავს, ის მიმბაძველია ბუნების; ხოლო როდესაც თავის გრძნობებსა და ემოციებს გვიხატავს, ის ბაძავს თავის საკუთარ თავს. ორსავე შემთხვევაში ხელოვანის მოქმედება სრულებით უმიზნოა, როგორც ყოველგვარი აუცილებელი პროცესი. იმ დროს, როდესაც პროეტთან ბელეტრისტი კალამს იღებს ხელში, მას არავითარი მიზანი არა აქვს; შეიძლება მას ამ დროს რაიმე იდეა ჰქონდეს, შეიძლება არ ჰქონდეს, მაგრამ ის ორსავე შემთხვევაში წერს იმიტომ, რომ აღძრული წარმოდგენანი და გრძნობები აიძულებენ. შეიძლება სახელის მოხვეჭის სურვილი და თავმოყვარეობა უხატავდეს მას წინ აღტაცებულ მკითხველს და ეგონოს, ამიტომ ვწერო, მაგრამ ეს ისეთივე ილუზიაა, როგორც ის, ვინმემ რომ გითხრათ: ჰაერს იმიტომ ვისუნთქავ, რომ მყავდალი მივაწოდო ჩემს სხეულსო, თითქოს სუნთქვა მის ნება-სურვილზე იყოს დამოკიდებული. თავისთავათ ხელოვნური პროცესი რომ სრულებით უმიზნო არის და მიზანს მხოლოდ თვით ადამიანი უმატებს საზრიანათ, ამას ნათელს ჰყოფს ის გარემოებაც, რომ არიან ისეთი მწერლებიც, რომლებიც თავის ნაწარმოებს არსად არ ბეჭდავენ, რადგანაც მხოლოდ „თავის თავისთვის“ წერენ და შეიძლება ზოგიერთ მეგობარს წააკითხონ, ისიც დიდის ხეწწნის შემდეგ. ასეთი თავისთვის წერა მორცხვობის, ამპარტავენობის ან კრიტიკის შიშის შედეგი კი არ არის, არამედ იმ გარემოების, რომ პროეტს არ შეუძლია არ წეროს, მას აიძულებს სახელოვნო პროცესის რეფლექტორული ხასიათი; მაგრამ როგორც აუცილებელ პროცესს, მის მოქმედებას არავითარი მიზანი არა აქვს, დაწერს თუ არა, ის დამშვიდდება, თავისი ნაწერის გამოქვეყნების ძალას მას არაფერი ატანს და ამიტომ არც ვისმე აცნობს თავის კალამს. რომინზონს რომ პროეტის ნიჭი ჰქონოდა, ის უსაზოოთ დატოვებდა სახელოვან ნაწარმოებს, თუმცა დარწმუნებული იქნებოდა, რომ მისი მკითხველი მარტო ავტორი იქნებოდა. აგრეთვე რა ცხადათაც უნდა დარწმუნდეს ხელოვანი თავის უნიჭობაში, ის ძვირათ დაანებებს კალამს თავს, რადგანაც წერა თუ არ წერა მის საკუთარ ნებას არ ემორჩილება; ეს აუცილებელი რეფლექტორული პროცესისა და ვისთვისაც ბუნებას ასეთი რეფლექსება დაუყოლებია, ექნება ნიჭი თუ არა, სულ ერთია—კალამს ვერ გააგდებს.



ქიმა, რათ არის ეს, რამ ეფელივე ექიმი სხვა-და-სხვა ნაირათ წამლობთ ავთმყოფსა? არა თუ წამლობთ სხვა-და-სხვა გვარათ, არამედ ერთსა და იმავე ავთმყოფობას სხვა-და-სხვა სახელს აჩქევეთ, — ევითსობდა ნერვებ აშლილი დიმიტრი ქ. თ ში ერთ თავის ნაცნობ სასლაზ-და ექიმს.

— ხომ გაკვირების, დიმიტრი, „duot capita, tot sententiae“ — „რამდენი თავია, იმდენი ჭკუაა“, და რათ უნდა გაკვირდეს, როცა უველა ექიმი თავისებურათ ექიმობს, — მიუგო ექიმმა.

— მე მაინც მთელი რუსეთი შემოვიარე, — ისეთ, „ცენტრებსში“, როგორც მასკოვი და პეტერბურდია, ვმისხურებდი და, რა თქმა უნდა, უველა ექიმებს და პროფესორებს კავაშინჯე თავი, მაგრამ, არ იქნა, ვერა მეუველა რა. ბოლოს, წულებზე ზიატიკარსკში ერთი უცხოელი პროფესორი გვეწვია, მამწერეს მეგობრებმა, და მეც, რასაკვირველია. იქ გავეშურე. — ნი, თქვენ ხომ უეჭველათ გეცოდინებთ. გამშინჯა თუ არა, მითხრა „ხეურასტენია“ ჰქონია, ე. ი. ნერვების აშლა — არა, ექიმო? — დაიხ, დაიხ, „ხეურასტენია“ — ნერვების ავთმყოფობა — დამტკიცა ექიმმა. — საკვირველია, წამალი-კი არა და შინიშნა მითხრა: ცივი-ცივი „დუშები“ და ვანები მიიღე და „მასსაჟი“ იკეთე — როგორ ფიქრობთ თქვენ, ექიმო, მარკებს უველა ეს?

— მე, სწორე გითხრათ, სპეციალისტი არა ვარ ნერვების ავთმყოფობისა და ამისთვის, პროფესორის დარიგების შემდეგ, შემიძლია მხლობთ ის გიჩიო, რამ უეჭველათ მოქცეთ ისრე, როგორც პროფესორმა დაგარიგათ.

— კი, მარა, მე შინდა გავიგო მარკებს თუ არა ის, რაც პროფესორმა დამინიშნა?

— როგორ ფიქრობთ, დიმიტრი, ვინ უფრო მეტი უნდა იცოდეს, ცნობილმა პროფესორმა, ნერვების ავთმყოფობის სპეციალისტმა, თუ უბრალო პროფინციელმა ექიმმა? თუ რამ პროფესორმა დაგინიშნათ თქვენ ის, რაც ზემოთ ჩამოთვალეთ, ალბათ იცის და სწამს კიდევ, რამ მისი დარიგება, თუკი თქვენც აასრულებთ, გარკებთ.

ივ. გომართელი.  
(შემდეგი იქნება)



— მაშ კარგი, იკისრებთ თქვენ ჩემს ექიმობას?

— როგორ თუ ექიმობას?

— „მასსაყის“ გაკეთებას.

— „მასსაყის“ გაკეთებასაც, რასაკვირველია, რომ ცოდნა უნდა და ამასთანავე დონეც არის სწორი: შე თუმცაღა ვინც „მასსაყის“ კეთება, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, მაგისათვის დონე ვი არ შემიწევს.

— ჩანს, უარს მეუბნებით!

— ...შე მყავს ნაცნობი ფერმადი, რომელიც ჩემი თვალ ეურის დევნებით გაგიკეთებთ „მასსაყის“.

— თქვენ ვი თვითონ უარზე დგებართ?

— დიახ!

— მაშ თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ ფერმადი გამიკეთებს „მასსაყის“?

— დიახ, ავი გითხარით!

— რა უნდა მოგართვათ თქვენი შრომისათვის?

— ხურას უკაცრავათ, მაგრამ შე ფასს არ ვინიშნავ.

— კარგი, არა და არც შე მოგთხოვ.

— მაშ კარგი, ხვალ დილით მოვალ. დიმიტრი დაემშვიდობა ექიმს; ის არც მეორე დღეს მისულა ექიმთან და არც მესამეს. —

*წ. ბ. ბობუჩი*

რამდენისაზე დღის შემდეგ ჩვენ ექიმთან მივიდა ფერმადი კ—ქ. ბ-ნო ექიმო, ნებას შემცემთ, რომ დიმიტრი—ის ვუაქიმო?

— როგორ! თქვენ იყავით მასთან? *წ. ბ. ბობუჩი*

— დიახ, განვლით და მთხვარს „მასსაყის“ ვუკეთებთ, მაგრამ რაკი ის ჯერ თქვენთან იყო, ამისათვის გეკითხებით—მომცემთ ნებას თუ არა, რომ ვუაქიმო?

*წ. ბ. ბობუჩი*

— ჭო, ის იყო ჩემთან და მთხვარს, რომ თქვენთვის შეჩვენებინა, თუ სად ან როგორ გაგეკითხებინათ „მასსაყის“, მაგრამ, ალბათ, ფულის მოცემას დავხარა და სურს უხემოთაც იფლათ წავიდეს. კეთილი! უაქიმეთ, თუ ხათრი გაქვთ, არამც თუ „მასსაყის“, არამედ რითაც გინდათ, კვ არის მხალფთ, რომ დიმიტრი—ის ნერვებ აშლილი ავთმეოფია, **немного даже смахиваетъ на психопата** და მას ცოტა სიფრთხილით უნდა მოხურობა.

— მაგში შე თვითონ დავრწმუნდი, ბ-ნო ექიმო, და შე ხომ მანინ ისრე არ შემიდიათ გავუკეთო „მასსაყის“, როგორც მოსკოვში.

— ამ დროს შემოდის მოსამსახურე და წერილს აწოდებს ექიმს; ექიმი კითხულობს... დიდნ კმაყოფილებით!.. აი ამ წერილით დიმიტრი—ის მთხვარს ნება მოგცემთ თქვენ, რომ მას „მასსაყის“ უკეთოთ,—დიდნ კმაყოფილებით! ამ წერილზედვე დავწერ, რომ შე თანხმავარ . წერილის მეორე გვერდზე წაწერა რაღაც და

უბრძანა ლაქიას—გადაეცა მომტანისთვის. ფერმადი წავიდა.

არ გაუგია ამას შემდეგ ნახევარ საათს, რომ დიმიტრი—ის ექიმის კარებთან იდგა და განხარებით რეკდა ზარებს: ექიმი სახლშია? შეკვითხა ის ლაქიას, რომელმაც მას კარები გაუღო.—სახლში განვით, ბატონო! დიმიტრი შევიდა.

— შე თქვენთან საქმე მაქვს, ექიმო!

— ბრძანეთ.

— მითხარით — ვინ არის ვეკლასზე უკეთესი ექიმი!

— ?!.ექიმმა თვალები დააჭყიტა, შემდეგ უცბათ წარბები შეჭმუნხა და გაშტერებით მიანერდა ავთმეოფის, რომელიც, ცოტა არ იყოს, ექიმის ამნაირათ გამცვლამ არია.

— საქმე იმაშია, ექიმო, რომ ჩემთვის ძლიერ საჭიროა ეს ვიცოდე...

— რათ ან რისთვის გინდათ თქვენ ეს? ამ კითხვაზე ზანუხის გება ფოვლად შეუძლებელია. ეს კითხვა არ აინსნება.

— მე საზოგადოთ ექიმებზე არ მოგახსენებთ; მე გეკითხებით, თუ ამ ქალაქში ვინ არის ვეკლასზე უკეთესი ექიმი, იმისთანა ექიმი, რომელსაც კაცი დაენდოს და გულ-ანდილათ უთხრას თავისი გაჭირვება.

— თქვენ, როგორც ავთმეოფი, ვალდებული ხართ ფოვლევი ჩვენთაგანს დაენდოთ და გულ-ანდილათ მოუკვეთ ვეკლასფერი, რაც ვი გაწუხებთ.

— არა, შე მანინ გთხოვთ მართალი მითხროთ...

— შე თქვენი, ჩემო დიმიტრი, დმერთმანი, ვერა გამიგარა: თუ რომ ზროფერს არ გაემიხჯეთ და თქვენი ავთმეოფობა მას „ნერვასტენიათ“ არ ეცნო, შე, დმერთმა იცის, რას არ ვიფიქრებდი თქვენზე...

— ექიმო, თქვენ რომ სიმართლე თქვით, ამითი არა დაშავდება რა. თქვენ ხომ კარგათ იცნობთ თავიანთ ამხანაგებს, აი მაგ.—სეის—ინცნს,—ქეს; ამათში თქვენი თავიც ჩანთვალეთ და მითხარით სწორი, დიახ სწორი; ვინ არის უკეთესი.

— თქვენ შეუძლებელსა მთხვარეთ; თავის დღეში შე არას ვიტყვი ჩემს ამხანაგებზე. ჩემის ახრით, ჩემს თავზე, რასაკვირველია, არაფერს გეტყვი და დანარჩენ თქვენგან ჩამთვლილ ექიმებს არც ერთს არ აქვს რაიმე მწიკვლი და არც ერთს არ მიუძღვის წინ ცუდი რამ.

— უკვლეოა, რაიმე განსხვავება იქნება ამათში და მითხარით...

ექიმი მეტათ აფელდა, ციფო ოფიი გადასქდა შუბლზე და აღარ იცოდა, თუ როგორ გაეთავისუფლებია თავი ამ „ნახევრათ გივი“ ადამიანისაგან.

— მაშ არ მეტყვით?



— გეტყვი, მარა დამხებებთ კი მეტე თავს, თუ ხელ-ახლა დამიწეებთ ტანჯვას?

— ოღონდაც ეს მითხროთ და ზატიოსან სიტყვას გაძღვით, არ შეგაწუხებთ.

— მაშ კარგი. ყველაზე უკეთესი ექიმი ის არის, ვინც, გამოუწერს რა ავთმყოფს წამალს, თუ სხვა რამ დარბეგბას მისცემს, ზრუნავს იმაზე კი არა, რამ მისმა ექიმობამ ავთმყოფს არგოს, არამედ ზრუნავს მხოლოდ იმაზე, რამ მისმა გამოწერილმა წამალმა არ ავინოს ავთმყოფს, ან არ მოწყობოს იგი. თუ რამ ექიმი თავისი ექიმობით ვერ უშველის ავთმყოფს, ეგ არაფერი—ამაში ის არ იქნება დამნაშავე; დამნაშავეა მხოლოდ მამინ, რცხა, სარგებლობის მაგიერ, ზარალს მოუტანს თავის ავთმყოფს.

— ხელი მოიტა, ხელი, ექიმო. დიმიტრი სინარულით ფეხზე ძლივს იდგა ამგვარი (როგორც მას ეგონა) ღრმა ფილანსოფიური აზრით და უფრო მაგრათ და მაგრათ უჭერდა ექიმს ხელს.

— გმადლობ, ექიმო! ჩემს სიცოცხლეში ზირველათ ვხედავ ამისთანა ზატიოსან და კეთილშობილ ზირს, როგორც თქვენ.

— ოჰ, ოჰ, დიმიტრი, თქვენ ერთობ უხვი ქება გცოდნიათ...

— არა, ექიმო, მე თქვენ ზირში არ გეფერებით... თქვენ... თქვენ...

— კმარა, კმარა, თუ ღმერთი გწამთ, თქვენ შემზირდით, რამ გულ-ახლილათ მეტყუით თქვენ გარემობას, თუ კი თქვენ ჩემგან რამე დახმარება გსურთ...

შემოდის ბიჭი და მოახსენებს ექიმს, რამ მისადებოთ თანხში ავთმყოფები შეგროვდენ და გიცდიანო.

— აი, ხომ გაიგონეთ, ბატონო დიმიტრი—ავთმყოფები მიცდიან; კმარა ამდენი ცარიელი ლაპარაკი, ესლაკი საქმეზე გადავიდეთ.

— იცით, ექიმო, არ შემიძლია არ გამოვთქვას თქვენ წინაშე ჩემი განცდიფრება, რამ...

— დიმიტრი, დიმიტრი! თქვენი ამდენი ქება გულზე დამაწვა ღიადიფით და სცაა დამაზიადებს კიდეც...

— დამაცადეთ ერთი... ხუმრობა განზე იუოს...

— რის ხუმრობა, კაცო! ავთმყოფები მიცდიან, გაიგეთ თუ არა?

— ხო, კარგი, ჩქარა გაგათავისუფლებთ.

— მაშ გადავიდეთ საქმეზე: მითხროთ, რითი ხართ ავთ, რა გვარი დახმარება გინდათ ჩემგან?

— მე ვიყავი ექიმ.—სკისთან. იმასაც ის კითხვები მივიტოვი, რაც თქვენ, ე. ი. ვინ არის ყველაზე უკეთესი ექიმი, ვის უფრო მეტი გაეგება და ვინ ყველაზე უფრო ჩქარა არჩენს ავთმყოფებს მეთქი. მეტე, იცით, რა მითხრა?— ყველაზე უფრო უკეთესი ექიმი ის არის, რასაკვირველია, რომელსაც ძლიერ კარგათ შესწავ-

ლილი აქვს ადამიანის მანქანა და, მამასადამე, კარგათ ესმის ადამიანის ანატომიაო. მეტე ვინ უნდა იცოდეს ყველაზე კარგათ ანატომიაო? შემიკითხა თვითონ ის. რასაკვირველია, იმასო, ვინც ყოველ დღე სჭრის ადამიანების გვამებსო! ის ხომ ცოტას ფილოსოფოსობს ჩვენში და თავის სიტყვებით თავის თავზე მიმითითა, რადგანაც, როგორც მოგეხსენებათ, ის ქალაქის ექიმია და ადამიანების გვამების უკრ მას სხვაზე მეტი ხედება ხოლმე წილათ. ექიმმა ერთი საშინელის მოუთმეხლობით გაიქნია ჭაერში ხელი, წამოდგა ზეზე, გაიარ გამოიარა სასტუმროში, შუბლზე ხელი გადაისვა და თავისთვინ გულში თქვა: „ღმერთო ჩემო, როდის მომშორდება თავიდან ეს „დიოტო“. ეტყობოდა ძლიერ აღელვებული იუო.

— იცით რა, დიმიტრი, მე წავალ, იქ ავთმყოფები მიცდიან, იმათ გავისტუმრებ და შემდეგ, რცხა მოფრები იმათ, რამდენიც გნებავთ ვილაპარაკოთ.

— ექიმო, ერთი ორი სიტყვა კიდევ და მეც გავთავებ—ამ წუთშივე წავალ.

— მაშ მხოლოდ ამასობისთვის მოდი ჩემთან და თქვენის ავთმყოფობის შესახებ კი არასთერს მეტყუით?

— ვიტყვი, მაშ არადა! განა ჩემზე არ არის ეს ლაპარაკი, ჩემს შესახებ არ გავაგრძელებ ამდენი... დიან, ჩემს თავზე გეუბნებით. ხო, იმას მოგახსენებდით... ექიმ—სკისდან წავუღე ექიმ—იანცთანა და ამან კი ის ზასუხი მომცა ჩემ კითხვებზე, რამ ექიმები ყველა ერთნაირათ კარგნია, ხოლო რაც შეეხება ეგრედ წოდებულ „გამოჩენილ“ ექიმებს, იმათი „გამოჩენილ“ რეკლამაა. მამასადამე, დასძინა—იანცმა, რეკლამებიდან წამოსდგება კარგი სახელები, მაგ., გამოჩენილი ექიმი, შესანიშნავი მწერალი და სხვა და სხვა, ხოლო კარგი ჯამაგირიანი ადგილის მოცემა კი ზრატეპტიის საქმეაო. მე რამ ზრათესორებ შორის ნანცობობა და ზრატეპტიის მქონდეს, უჭველათ ზრათესორი გავხდებოდი, ამისათვის საჭიროა მხოლოდ ერთი რადაც ბროშიურა დავსწერო მეცნიერულის შინაარსის, აი მაგ., ისრეთი, როგორც მე ერთხელ გაჩუქე თქვენ. (—იანცმა მართლაც მჩუქა რადაც ბროშიურა, რომელიც ბოლომდის არც კი წამიკითხავს, რადგანაც ძლიერ გაუგებარი იუო) რაკი ზრათესორი გავხდებოდი, გამოჩენილიც შევიქნებოდი, ხოლო ცოდნა კი ის მქნებოდა, რაც ესლას, არც მეტი არც ნაკლები; ვიწერდი მხოლოდ სპეციალურ ყურნალ გაზეთებს და წიგნებს და ვიკითხავდიო, მაგრამ...

— თქვენ, ბატონო დიმიტრი, მხოლოდ ნერვები კი არ გქონიათ აშლილია, არამედ... არამედ... ის ნერვები გქონიათ გაფუჭებული, რომლებიც აჩვენებენ ხოლმე ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებას... დიმიტრი ადელდა, გაწითლდა, ზეზე წამოდგა და ქუდი ხელში აიღო. ექიმი, მოთმინებისგან გამოსული, არა ცხრებოდა:

— დიან, ბატონო დიმიტრი, აგრეს! ბუდი თქვენი,



წერილი კადავტის მიმართ

რამ აქ მწველები არ არიან, თორემ—სკი და— იანტი სისხლის სამართალში მიგცემდენ ცილის წამებისთვის.

— მე ცილის მწამებელი ვარ? შეგვიფიქრა დიმიტრიმ, მე, ავთოფოფი კაცი, მოგედი თქვენთან რჩევა დარბევისთვის და თქვენ, ექიმო, გამლახოდეთ, შეურაცხებულეთ! თქვენ მე ცუდათ გამსადეთ... თქვენ...

— დაიხ, თქვენთვის საჭიროა ექიმობა, მაგრამ ექიმობა არა წამლით, არამედ შეგონებით... თქვენ უნდა შეგავინახო, დაგარწმუნოთ ექიმობა, რამ თქვენი ავთოფოფობა ენის გაუჩივრებლობაა.

— მას მე ცილის მწამებელიც ვარ და უბედოცე? გაათვინდა დიმიტრი.

დაიხ, რაივე თქვენი ნაკლულებიანება და, — თუ გნებავთ ავთოფოფობაც. აქ კი დიმიტრის გულ მოსულობას საზღვარი აღარ ჰქონდა. მეტი აღეფიქვინებოდა შირში ნერწყვი გაუშა და ხრინწიანი სმით შეგვიფიქრა:— იცი თქვენ ვის შეურაცხევეთ, ვის დაუძახეთ ცილის მწამებელი, უბედი? ინტელიგენტს... დაიხ, ინტელიგენტს და თქვენსე უფრო გამჩინილ შირს... მე... მე... მწერალს...

— დაიხ, მე მწერალი, რამედიც ოდესმე თანამშრომლობდა „ცნობის ფურცელში“ დონ ბაზილიოს ფსევდონომით... მწერალი... და თუ გნებავთ— მეცნიერიც, რამედიც აღმოვაჩინე ბალონჯობის გასაწყვეტი საშუალება! გნებავთ, თუ არ გახსოვთ, „ცნობის ფურცლის“ ნომერსაც დაგისახელებთ!... აქ კი ექიმს ტუჩებზე დიმილი მადგა და თავის გულში თქვა: „Онъ, какъ видно, маниакъ! У него „mania grandiosa““.

— დაიხ, თქვენ შეურაცხევეთ მწერალი, რამედიც ერთი დაკვრით მიწასთან გაასწორა ჩვენი მარქსისტები... ექიმმა თვალები დააჭიკტა...

— როგორ, არ გჯერათ? არ წაგიკითხავთ „ივერიაში“ ანდლიდი? ექიმი გასტუმრებით შეტყუარდა... — არც ახლა გჯერათ? მას „ჩიორასა“ ჰკითხეთ, რამედიც ჩემი „ანდლიდი“ ძლიერ მოიწონა... მე... მე... „ივერიის“ „აღმა“ გახლავარ...

ექიმი ზეზე წამოდგა, ორი ნაბიჯი დიმიტრისკენ გადასდგა, მარჯვენა ხელი კარებისკენ გაშვირა და მადლის სმით წარმოთქვა: „მომშორდით“!

— გარეთ მაგდებთ, აჰ? აბა გახსოვდეთ ეს თქვენ... მე თქვენ განვიხებთ... თქვენს სეირს გავაჩენ... მე... მე ცილის მწამებელი... უბედი... დამაცადეთ... მეტის აღეფიქვინებოდა ხელები აუკანაგადა დიმიტრის, ქუდი იატაკზე დაეცა და თითონ კი კარებში გამოვარდა...

— ძლივს!.. წამოიძახა ექიმმა და სვარძელში ჩაეშვა, მაგრამ, დაინახა თუ არა იატაკზე ქუდი, ელდა ეცა, კიდევ არ მობრუნდეს, და გაცხრებით ზარი დასწავარუნა. შემოვიდა ბიჭი. აი ეს ქუდი, ახლა რამ კაცი გავიდა აქედან, იმას მიაწიე და კარები მაგრათ ჩაკეტე...

ს. რიონ ბამალაძე

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ მაცნობოთ, ვინა ბრძანდება ახლათ კადმოსახლებული, რამელიც მე „კვალის“ მე-32 ნომერში შეხადლოვებს მეძახის, როდესაც მე ერთი უბრალო მუშათაგანი ვარ. მე იფულს ვასესებ ვექსილით და ვართმევ, როცა დრო მოვა. კანონიერი ვექსილითაც მიჭირს იფულის ადება, არამც თუ ზადლოვანით. იმდენი კი ვიცი, რამ ზადლოვის გაკეთებას ციმბირი მისდევს. თუ ვარკი კაც ახლათ კადმოსახლებული, რატომ თავის შირდაშირ სახელს არ აწერს. ლანჩხუთის მცხოვრები ვარდენ კვითავილი,

ჩვენ შევიტყუეთ რომ ვიღაც სხვა ივანოვი ავროვებს ოუდაქციის სახელობით იფულს სხვა და-სხვა მიზნით, ამიტომ რედაქცია საფოველთათ აუხადებს, რომ მას არავისთვის არ მიუნდვია თავის სახელობით იფულის მოგროვება.

დაიბეჭდა და იყიდება ახალი წიგნი

„ქართული პრესა“

წერილები ნოე ჟორდანასი  
გა. ამხან. „შრომის“  
ფასი 25 კაპ.

ქ ა ლ ე ბ ი ს  
პ რ ო გ ი მ ნ ა უ რ ი ა

ელენე ბახტაძისა  
დ. სონი.

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უძცროს და უფროს მოსამზადებელ შირველ შროგიმნახიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მეორე შროგიმნახიულ კლასებში დაიწება 20 აგვისტოდამ და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოვსახონ შროგიმნახიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ—ისე შროგიმნახიულ კლასებში 30 მანეთი წელიწადში

(1-3)

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.